ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის გ.ვ) ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერის ერთ-ერთი უფლებამოსილება, შესყიდვების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელება და შემდგომ, წინა წელს, შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის, არაუგვიანეს თებერვლის თვისა, გაგზავნაა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უგზავნის წინადებარე ანგარიშს 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვა, თავისი არსით წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით; ხოლო შემსყიდველ ორგანიზაცია არის პირი, რომელიც ხსენებული საბიუჯეტო სახსრებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს და რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში; შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილ ანგარიშში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- შესყიდვის ობიექტი - შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო;

- საქონელი - ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას;

- სამშენებლო სამუშაო - შენობის, ნაგებობის ან სხვა ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, ნგრევასთან, რემონტთან ან განახლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო (მათ შორის, სამშენებლო მოედნის მოწყობა, გრუნტის ამოღება, შენობის ან ნაგებობის აგება/აშენება, აღჭურვილობის მონტაჟი, მოპირკეთება და მოსაპირკეთებელი სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები), აგრეთვე მშენებლობის თანამდევი მომსახურება, როგორიცაა ბურღვა, გეოდეზიური სამუშაოები, კოსმოსური და აეროგადაღება, სეისმური კვლევა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ანალოგიური მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება სამშენებლო სამუშაოს ღირებულებას;

- მომსახურება - შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა.

- მიმწოდებელი - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

- გადაუდებელი აუცილებლობა - ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას;

- ელექტრონული ტენდერი - 10 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს;

- გამარტივებული შესყიდვა - შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება 10 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში - 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების) სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში; ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (როდესაც საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად, არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, არსებობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელების აუცილებლობა, რა დროსაც შესყიდვის აღნიშნული საჭიროება დგინდება მთავრობის სამართლებრივი აქტით, ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული შესყიდვა, ასევე, სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით და სხვ.)

- კონსოლიდირებული ტენდერი - საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროცედურა, რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადება.

განხორციელებული შესყიდვების ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2023 წლის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც ჯამურად განსაზღვრული იყო 52 772 228 ლარით, გაფორმდა 495 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ჯამურად, 39 164 866,22 ლარზე. მათ შორის: 357 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 2 037 863,99 ლარზე, რაც შესყიდვების

სრული მოცულობის 5,20%-ს შეადგენს (2022 წელს იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 11,42%-ს); 97 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 29 859 062,63 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 76,24%-ია (2022 წელი – 84,06%) და 41 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 7 267 939,60 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 18,56%-ია (2022 წელი - 4,52%).

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 120 ელექტრონული ტენდერი, მათგან 19 ტენდერი არ შედგა, რადგან ტენდერში არც ერთმა პრეტენდეტმა არ მიიღო მონაწილეობა, 3 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან ტენდერში მონაწილე ვერცერთმა პრეტენდეტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები, 4 ტენდერი გამოცხადდა შეწყვეტილად. შემდგარი 94 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 33 262 134 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 30 218 483,47 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 3 043 650,53 ლარი (9,15 %).

2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა მომწოდებელი ორგანიზაციების მიერ, დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრდა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული 3 ტენდერი; 1 საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა, 1 საჩივარი არ დააკმაყოფილა დავების საბჭომ, ხოლო 1 საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.